

ანგარიში

ოკუპირებულ აფხაზეთში ადამიანის უფლებათა დარღვევებისა და მათზე განხორციელებული რეაგირების შესახებ (2016 წლისა და 2017 წლის მარტის მდგომარეობით)

- 1) ქალთა უფლებები (1-3)
- 2) ბავშვთა უფლებები (3-4)
- 3) მშობლიურ ენაზე განათლების უფლება (4-5)
- 4) გადაადგილების უფლება (5-6)
- 5) სიცოცხლის უფლება (6-7)

ქალთა უფლებები

ადამიანის უფლებების კუთხით ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე განსაკუთრებით მძიმეა ქალთა და ბავშვთა მდგომარეობა. იცვლება ქალის სოციალურ-ეკონომიკური როლი, რის გამოც ისინი მომეტებული საფრთხის რისკის ქვეშ არიან, კონფლიქტის ტრავმა და მძიმე სოციალური პირობები პირდაპირ აისახება ოჯახში ძალადობაზე, რომლის მსხვერპლიც ყველაზე ხშირად ქალები და ბავშვები არიან. არაღიარებულ რესპუბლიკაში არ არსებობს ძალადობისგან დაცვის მექანიზმები, კრიზისული ცენტრები, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის სერვისები.

სიტუაციას ართულებს ისიც, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის დაბრკოლებები ექმნებათ ადამიანის უფლებათა მონიტორინგის საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორცაა გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისარიატი, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარიატი, ეუთოს უმცირესობათა საკითხების უმაღლესი კომისარიატი და ა.შ.

ამის მიუხედავად, სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევით ოკუპირებულ აფხაზეთში მიიღეს კანონი ქალებისა და კაცებისათვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის შესახებ.¹ კანონი აწესრიგებს ისეთ საკითხებს, როგორცაა დისკრიმინაციის აკრძალვა, დასაქმების ადგილზე თანაბარი უფლებები, თანაბარი ანაზღაურება თანაბარი სამუშაოსათვის, კანონმდებლობის გენდერული ანალიზი და ა.შ.

სამწუხაროდ, კანონის რეალურად მუშაობისთვის საკმარისი მექანიზმები არ არის შექმნილი, თუმცა მისი არსებობა უკვე მეტყველებს პრობლემის აღიარებაზე. რამდენიმე ადგილობრივი ორგანიზაცია მუშაობს ბავშვთა უფლებების დაცვისა და არაფორმალური განათლების მიმართულებით. საქართველოს სახალხო დამცველისა და ადგილობრივი არასამთავრობოების განცხადებით აფხაზეთის საზოგადოებაში ოჯახში ძალადობა ერთ-ერთ რთულ და ამასთან, დაფარულ პრობლემას წარმოადგენს.²

სამწუხაროდ, ეთნიკური თავისებურებების გამო, აფხაზეთის საზოგადოებაში არ არის მიღებული ოჯახში ძალადობის შემთხვევებისას სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვა. ხშირ შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლი აგრძელებს მოძალადე მეუღლესთან ცხოვრებას. ეს კიდევ უფრო ართულებს ძალადობის მსხვერპლისათვის სამართალდამცავი ორგანოებისადმი ნდობას. არ არსებობს თავშესაფრები ან კრიზისული ცენტრები მსხვერპლთათვის, სადაც მათ დროებით უსაფრთხოადგილას თავის შეფარება შეეძლებოდათ. გალის რაიონში ფუნქციონირებდა თავშესაფარი ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ბაზაზე, სადაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლს 3-დან 15 დღემდე შეეძლო ცხოვრება, თუმცა ეს თავშესაფარი დაფინანსების სიმცირის გამო დაიხურა.

ოკუპირებულ აფხაზეთში გამოიკითხა სხვადასხვა პროფესიის, ასაკის და ეთნიკური წარმომავლობის 60 ქალი. შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმეტესობა ადასტურებს ოჯახში ძალადობის არსებობას აფხაზეთში, თუმცა ამბობენ, რომ ეს დაფარული პრობლემაა. ამასთან, ისინი თვლიან, რომ სახელმწიფომ უნდა დასაჯოს ძალადობის ნებისმიერი ფაქტი. მიუხედავად ამისა, მათი უმეტესობას თვლის, რომ ამჟამად მილიციას არ შეუძლია დაიცვას ქალი მოძალადისაგან.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ოკუპირებულ აფხაზეთში 2017 წლის 18-19 მარტს ქ. ბიჭვინთაში „აფხაზეთის ქალთა ასოციაციის“ ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი თემაზე „გენდერული ნიშნით ძალადობა როგორც სოციალური პრობლემა“.³

შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ პრობლემაზე „აფხაზეთის ქალთა ასოციაციამ“ ჯერ კიდევ 2012 წელს ჩატარა კვლევები და კანონპროექტიც კი მოამზადა „ოჯახური ძალადობის შესახებ“, მაგრამ ე.წ. დეპუტატებისგან მხარდაჭერა ვერ მოიპოვეს.

ორდღიან ტრენინგში, ქ. ბიჭვინთაში, მონაწილეობა მიიღეს ოკუპირებული აფხაზეთის სამოქალაქო საზოგადოების წევრებმა, ექიმებმა, ფსიქოლოგებმა, იურისტებმა, ჟურნალისტებმა და სტუდენტებმა. ტრენინგის მიზანს, ორგანიზატორების განცხადებით, გენდერული ძალადობის ბუნების, მიზეზების და შედეგების შესახებ მონაწილეების ინფორმირება წარმოადგენდა. ტრენინგის ერთერთმა ორგანიზატორმა, ფსიქოლოგმა ელანა თარბამ, დამსწრეთ განუმარტა ტერმინის „გენდერული ძალადობა“ მნიშვნელობა და დაამატა, რომ უმეტეს წილად ძალადობის მსხვერპლნი ქალები და ბავშვები არიან. ამასთან ერთად ხაზგასმით აღნიშნა:

„აქ საუბარია არა მარტო ფიზიკურ, არამედ ფსიქოლოგიურ ძალადობაზე, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს ცალკეულ პიროვნებაზე, რომელიც სოციუმის ნაწილია და ამიტომაც ძალადობა სოციალურ პრობლემას წარმოადგენს“.

ტრენინგის მონაწილეებმა აღიარეს დე-ფაქტო აფხაზეთში გენდერული ნიშნით ძალადობის პრობლემის არსებობა და ისაუბრეს გამომწვევ მიზეზებზე. ფსიქოლოგების აზრით, მოქალაქეებს უჭირთ ამ პრობლემის აღიარება ეთნოკულტურული თვისებების, არაინფორმირებულობის და სხვა მიზეზების გამო. ამასთან ერთად, პრობლემის მიზეზად დასახელდა გენდერულ ძალადობასთან ბრძოლის ქმედითი მექანიზმების არარსებობა აფხაზეთში.

„აფხაზეთის ქალთა ასოციაციის“ გამგეობის წევრმა, მარიეტა ტოპჩიანმა, სიტყვით გამოსვლისას განაცხადა: „იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთის პარლამენტში შემცირებულია დეპუტატების ქალების რაოდენობა, ძალიან ძნელია „გენდერული ძალადობის შესახებ“ კანონის მიღება. ახლა მთავარია ამ პრობლემისადმი ადამიანების დამოკიდებულება შეიცვალოს“.

ოკუპირებულ აფხაზეთში „გენდერული ძალადობის პრობლემის აქტუალიზაცია და მის აღმოსაფხვრელად აუცილებელი ღონისძიებების გატარება“ ხორციელდება COBERM-ის (ადრეული რეაგირების მექანიზმი) პროგრამის მხარდაჭერით.

საქართველოს სახალხო დამცველის მოსაზრებით, ოკუპირებულ აფხაზეთში ქალთა უფლებების დარღვევის დამადასტურებელია-ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობა, ოჯახში ძალადობა, ადრეულ ასაკში ქორწინება, ე.წ. „ღირსების მკვლელობები“, ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობა და აბორტის აკრძალვა აფხაზეთში და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის შეზღუდვა.⁴

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე გაუმართავი სამედიცინო სერვისები და ინფრასტრუქტურა, ასევე მედპერსონალის კვალიფიკაციის არასახარბიელო დონე და მომსახურების მაღალი ფასები ნეგატიურ გავლენას ახდენს მოსახლეობის, მათ შორის ბავშვთა ჯანმრთელობაზე.

არაღიარებულ რესპუბლიკაში ბავშვთა უფლებების დარღვევის კუთხით სპეციფიური და ყველაზე უფრო მძიმე ვითარებაა გალის რაიონში, რომელიც ზოგადად არსებული რთული მდგომარეობის პირდაპირი ანარეკლია. სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს მხარეებს შორის შეუთანხმებლობა და საკითხების პოლიტიზირება.

გარკვეულ ყურადღებას იჩენს საქართველოს ხელისუფლება ოკუპირებული აფხაზეთის ჯანდაცვის სისტემის გასაუმჯობესებლად და ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად. ბოლო წლებში აფხაზეთში მხარეს გადაეცა სასწრაფო დახმარების მანქანები, სხვადასხვა აღჭურვილობა და სამედიცინო დანიშნულების ნივთები, ტუბერკულოზისა და დიაბეტის სამკურნალო მედიკამენტები.⁵ აფხაზეთში მცხოვრები პირები, ვისაც აქვს საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ჩართულები არიან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში, ხოლო ასეთი დოკუმენტის არმქონე პირები კი რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამაში.

მიუხედავად ამისა, პრობლემები კვლავ რჩება და მოსახლეობის შემფოთებას იწვევს ახალშობილთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი. 2016 წლის ოქტომბერში, აფხაზური მედიით გავრცელდა ინფორმაცია სოხუმის სამშობიარო სახლში დაბადებული ახალშობილების გარდაცვალების ფაქტების გახშირების შესახებ. გარდაცვალების ზუსტი მიზეზი ხშირ შემთხვევაში ვერ დგინდება, რადგან ოჯახი ცხედარის გაკვეთაზე უარს ამბობს, სამედიცინო პერსონალი კი ამ ფაქტებზე არ საუბრობს.⁶

დე-ფაქტო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მონაცემებით, 2016 წლის განმავლობაში ნეონატალური გარდაცვალების 5 შემთხვევა დაფიქსირდა, კიდევ 5 ახალშობილი გარდაიცვალა ბავშვთა საავადმყოფოში. ამასთან, დამატებით ორი ახალშობილი, სავარაუდოდ, ლურჯ-მწვანე ჩირქის ჩხირით დაინფიცირდა. საუბრობენ ასევე სამედიცინო აპარატურის არასრულყოფილებაზე, რაც ახალშობილის ჯანმრთელობის გართულების შემთხვევაში პრობლემებს ქმნის. (<http://www.ekhovkaza.com/a/28116706.html>)

ბავშვთა უფლებები

განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რომ პოლიტიკური სტატუსისა თუ ფორმალობების გამო, რომელიც არის დაგვიანებული მკურნალობის მთავარი მიზეზი, არც თუ ისე იშვიათად, ადგილი აქვს ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლებების დარღვევას.

პირველ ყოვლისა, უაღრესად პრობლემატურია, რომ აფხაზეთის დე-ფაქტო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, სასწრაფო დახმარების მანქანას ენგურის ხიდზე აღარ ატარებენ. პაციენტებს გამშვებ⁷

პუნქტებზე უწევთ სასწრაფო დახმარების მანქანების შეცვლა. ხოლო ღამის საათებში, როდესაც გამშვები პუნქტები დაკეტილია (20:00 საათიდან 07:00 საათამდე), პაციენტთა გადაყვანა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ხდება გალის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელთან პირადი შეთანხმებით, ან სულაც მალულად, შემოვლითი გზებით.

არასრულწლოვანთა გარდაცვალების ფაქტების არაერთი შემთხვევა გახდა ცნობილი, რომლის გამომწვევი მიზეზი არასათანადო ან დაგვიანებული მკურნალობა იყო.

2016 წელს სახალხო დამცველს აცნობეს 3 შემთხვევის შესახებ, როდესაც შესაფერისი დოკუმენტების არარსებობის გამო არასრულწლოვანი პაციენტები შემოვლითი გზებით კვეთენ გამყოფ ხაზს და ამისთვის 2-3 დღეს გამყოფი ხაზის სოფლებში ყოვნიდებიან, რათა შესაფერისი დრო მოძებნონ გამყოფ ხაზზე გადასასვლელად (როდესაც რუსი მესაზღვრეები ადგილზე არ იმყოფებიან).

გალის მკვიდრთა განცხადებით, ასეთი ასეულობით შემთხვევა დ ხშირად ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გართულებით მთავრდება.⁸

მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ძალებმა აიღეს სრული კონტროლი ე.წ. აფხაზეთის გამყოფ ხაზზე, რეგულარული ხასიათი მიიღო ადგილობრივი მოსახლეობის დაკავებებმა, მათ შორის, ბავშვების და არასრულწლოვანი პაციენტების თავისუფლების აღკვეთის ფაქტებმაც. აფხაზეთის შემთხვევაში, დაკავებების მთავარი მოტივი არის შესაბამისი დოკუმენტების არქონა (**აფხაზური პასპორტი, ფორმა N9**). აღსანიშნავია, რომ 14 წლამდე ბავშვებზე ფორმა N9 და პასპორტი არ გაიცემა და მათი მიწერა ხდება მშობლის აფხაზურ პასპორტში, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ გალის მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს აფხაზური პასპორტი, იმ ბავშვთა რაოდენობა, რომელთაც არ აქვთ დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ გაცემული ვალიდური სამგზავრო დოკუმენტი, საკმაოდ მაღალია. შესაბამისად, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოხვედრა შემოვლითი გზებით უხდებათ, რაც ხდება კიდევ მათი დაკავების მიზეზი. შემლახავი მოპყრობის, მათ შორის, სიტყვიერი შეურაცხყოფის. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას გალის რაიონის მკვიდრთა დაკავებების დროს. სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული დაკავებულ მოქალაქეთა ახსნა-განმარტებებით ირკვევა, რომ გალის რაიონში განლაგებული რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზის სარდაფებში არ არის სათანადო პირობები; დაკავებულებს არ მიეწოდებათ წყალი და საჭმელი; ათეულობით ადამიანს ერთ ოთახში ათავსებენ, განურჩევლად სქესისა და ასაკისა. გამყოფ ხაზზე გადაადგილების შეზღუდვით ასევე ირღვევა ბავშვების სიცოცხლის, ჯანმრთელობის და განათლების ხელმისაწვდომობის უფლება, რადგან

სწორედ ამ მიზნებისთვის კვეთენ გამყოფ ხაზს არასრულწლოვნები. ამასთან, გაეროს ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის 37-ე მუხლის თანახმად, არც ერთმა ბავშვმა არ უნდა განიცადოს წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა. ამავ მუხლით, არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთა დაშვებულია როგორც უკიდურესი ზომა, თუმცა, გალის მკვიდრ ბავშვთა შემთხვევებში აშკარაა, რომ რუსი მესაზღვრეების მიერ მათი დაკავება ჯარიმის გადახდის უზრუნველყოფის საშუალებად გამოიყენება.

მოქალაქე ჯ.გ.-ს ახსნა-განმარტება⁹

გალის მკვიდრი ჯ.გ. 2016 წლის ოქტომბერში დააკავეს გამყოფი ხაზის გადაკვეთის მცდელობისას. თვითმხილველის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, როდესაც ის მიიყვანეს რუსეთის სამხედრო ბაზაზე, იქ უკვე იმყოფებოდნენ სხვა დაკავებულები, მათ შორის ქალი სამი თვის ჩვილით. ბავშვი შიმშილის გამო ტიროდა. დაკავებულების ძახილისა და კაკუნის მიუხედავად, რუსი

სამხედროები მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ შევიდნენ დაკავების ოთახში და დაკავებულთა თხოვნით ბავშვის საკვების მოსამზადებლად მოიტანეს ცხელი წყალი. ამის გარდა, დაკავებული და მის გარდა იქ მყოფი 6 ახალგაზრდა ცალ-ცალკე გაიყვანეს და ლურსმნებისთვის თავის დაჭრა მოსთხოვეს. ამაზე უარის მიღების შემდეგ რუსმა სამხედრომ ჯ.გ.-ს მიაყენა ფიზიკური შეურაცყოფა (წელის არეში რეზინის ხელჯოხი ჩაარტყა). რამდენიმე საათიანი დაკავების შემდეგ მოქალაქეები გადაიყვანეს გალში და ჯარიმის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს.

განათლების უფლება

მშობლიურ ენაზე განათლების უფლებისა და მისი ხელმისაწვდომობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას გალის რაიონში, სადაც 2015-2016 სასწავლო წელს კიდევ უფრო დამძიმდა მდგომარეობა ქართულ ენაზე სასკოლო განათლების მიღების კუთხით.

განათლების უფლება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გარანტირებული უფლებაა. ის განმტკიცებულია როგორც გაეროს, ასევე ევროსაბჭოს შესასრულებლად სავალდებულო ხელშეკრულებებში. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, განათლება უნდა იყოს ფიზიკურად და ეკონომიკურად ხელმისაწვდომი ყველასათვის, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და, ამასთან ერთად - მისაღები, რაც გულისხმობს იმას, რომ განათლების ფორმა და არსი, მათ შორის სასწავლო გეგმა და სწავლების მეთოდები უნდა იყოს შესაბამისი, კულტურულად რელევანტური და ხარისხიანი მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის (*გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N13, პარ. 6*).

სახალხო დამცველის ინფორმაციით, სწავლების რუსულ ენაზე გადასვლის გამო არაერთი ოჯახი იძულებული გახდა დაეტოვებინა საცხოვრებელი ადგილი და ბავშვები საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოეყვანა, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონოდათ მშობლიურ ენაზე გაეგრძელებინათ სწავლა.¹⁰ სახალხო დამცველისათვის მიწოდებულ დოკუმენტაციაში, რამდენიმე მშობელი განცხადებაში ღიად აფიქსირებდა, რომ სკოლის შეცვლის მიზეზი სწორედ რუსულენოვან სწავლებაზე გადასვლა იყო. სამუშაოს დატოვება მოუწიათ იმ მასწავლებლებსაც, რომელთაც უარი თქვეს ან ვერ შეძლეს რუსულ ენაზე სწავლება. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები კი გაათავისუფლეს იმის გამო, რომ ეს საგანი სკოლებში აღარ ისწავლებოდა. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში სხვა ეთნიკურ ჯგუფებს აქვთ საშუალება მიიღონ განათლება მშობლიურ ენაზე, მაშინ, როდესაც, ეთნიკურად ქართველებს იგივე უფლება არ გააჩნიათ, ან წლიდან წლამდე უფრო და უფრო ეზღუდებათ, რაც ცალსახად ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციად უნდა შეფასდეს.¹¹

სწავლების რუსულ ენაზე გადასვლამ სერიოზულად გააუარესა განათლების ხარისხი, როგორც გალის რაიონის სკოლებში, ისე ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებს მიკუთვნებულ, ყოფილი გალის რაიონის სკოლებში. მოსწავლეებს რუსულ ენაზე სწავლა, ხოლო მასწავლებლებს საგნების რუსულ ენაზე სწავლება უჭირთ, რადგან მათი აბსოლუტური უმრავლესობა ეთნიკურად ქართველია, მასწავლებლებს კი განათლება ქართულ ენაზე აქვთ მიღებული. ამის გარდა, ხშირია არასპეციალისტების დასაქმება, მხოლოდ იმის გამო, რომ გარკვეულ დონეზე, თუმცა არა

სრულყოფილად, ფლობენ რუსულ ენას. შედეგად, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მშობლების განცხადებით, იკვეთება ტენდენცია, რომ თუ ოჯახებს არ აქვთ შესაძლებლობა ბავშვები დამატებით მოამზადონ მასწავლებლებთან, ბავშვებმა არ იციან არც რუსული და არც ქართული ენა.¹²

გადაადგილების უფლება

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მუდმივად ხდება ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა, რაც გამოიხატება ადამიანების არასათანადოდ მოპყრობაში და უკანონო დაკავებაში. ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეზღუდულია თავისუფალი გადაადგილების უფლება, მასიურად დარღვეულია საკუთრების უფლება. საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართების დამონტაჟებამ აღნიშნული ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა.

გალის რაიონის მოსახლეობის უფლებების შეზღუდვის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია აფხაზური რეჟიმის მიერ ენგურის პერიმეტრზე, დაბალი ზონის სოფლებთან მდებარე ორი გადასასვლელის - ოტობაია-ორსანტიისა და ნაბაკევი-ხურჩის გადასასვლელების გაუქმება, რომლის შესახებ სეპარატისტულმა რეჟიმმა ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს მიიღო გადაწყვეტილება.

ამ ხნის განმავლობაში მუდმივად გაისმოდა მოწოდებები აფხაზური რეჟიმის მისამართით, გადაეხედა თავისი გადაწყვეტილებისთვის და ხელი აეღო გამშვები პუნქტების დახურვაზე.

გალის რაიონის 200-მდე მცხოვრებმა 25 იანვარს დე-ფაქტო საზღვარზე არსებული საკონტროლო-გამშვები პუნქტების მოსალოდნელი დახურვა გააპროტესტა. ნაბაკევისა და მეზობელი სოფლების მოსახლეობამ მდინარე ენგურზე არსებული ცენტრალური გადასასვლელისკენ გზა გადაკეტა.

ენგურის ცენტრალური გადასასვლელი, რომელიც რუსული სასაზღვრო საგუშაგოს უშუალო სიახლოვეს მდებარეობს, მთავარი იმ 6 პუნქტს შორის, რომლითაც ადამიანები წლების განმავლობაში კვეთდნენ დანარჩენ საქართველოსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის დე-ფაქტო საზღვარს, მალე კი იგი ერთადერთი გახდება. არადა, ბევრ ადგილობრივს ენგურის გადასასვლელამდე მისაღწევად ავტობუსით 15-30 კმ-ის გავლა უწევს და მერე კიდევ 800 მეტრის ფეხით ენგურის ხიდზე ქართულ მხარეს მოსახვედრად.

გალის რაიონის ე.წ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელ თემურ ნადარაიას განცხადებით: „სადღეისოდ ყველა პირობაა შექმნილი საიმისოდ, რომ დაბალი ზონის სოფლების მაცხოვრებლები დაუბრკოლებლად გადაადგილდნენ ენგურის ცენტრალურ გადასასვლელამდე.“

აქციის ადგილზე დღისით გალის რაიონის ე.წ. აფხაზური უშიშროების სამსახურის უფროსი თემურ შერგელია და ე.წ. შსს-ს ადგილობრივი განყოფილების თანაშრომლები იყვნენ მისულები. მათთან საუბრის შემდეგ გზა გაიხსნა და აქციის მონაწილეები დაიშალნენ.¹³

გადასასვლელის გაუქმებასთან დაკავშირებით, თავიანთი შეშფოთება გამოხატეს აშშ-მ, ეუთომ, ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის 1281-ე სხდომაზე დღის წესრიგის საკითხის „ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში“ ფარგლებში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენლობამ განცხადება გააკეთა.¹⁴

გალის რაიონის მცხოვრებლების სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებული ოთხწლიანი გაურკვევლობის შემდეგ, სეპარატისტული აფხაზეთის ხელისუფლებამ რეგიონის ეთნიკური ქართველი მოსახლეობისთვის ბინადრობის ნებართვების გაცემა დაიწყო.

არაღიარებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ბინადრობის ნებართვები ხუთწლიანი ვადით გაიცემა და განკუთვნილია „უცხოელი მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის“. 21 აპრილს, სამინისტრომ ასევე განაცხადა, რომ ბინადრობის ნებართვების მქონე იმ პირებს, რომლებიც აფხაზეთის ფარგლებს გარეთ ექვს თვეზე მეტხანს ცხოვრობენ, საბუთები ჩამოერთმევათ.

დოკუმენტი მფლობელს საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების, რეგიონში ცხოვრების და დანარჩენ საქართველოსთან ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გადაკვეთის შესაძლებლობას აძლევს. თუმცა, ამგვარი დოკუმენტი მის მფლობელს სრულ პოლიტიკურ უფლებებს არ ანიჭებს.

ბინადრობის ნებართვა მფლობელს საშუალებას აძლევს აფხაზეთში არსებული საკუთარი ქონება გაყიდოს ან ანდერძით გადასცეს, თუმცა ეს უფლება არ ვრცელდება ქონების შესყიდვაზე. სოხუმის ხელისუფლება ბინადრობის ნებართვებით რუსეთის ფედერაციაში შესვლის და გამოსვლის უფლების მოპოვების მიზნით მოსკოვთან კონსულტაციების დაწყებასაც გეგმავს.

დოკუმენტი გალის რაიონის ეთნიკური ქართველი მოსახლეობისთვისაა განკუთვნილი, რომლებიც ეთნიკური ნიშნით გამომეგვების რამდენიმე ტალღას გადაურჩნენ. თუმცა, იმ ეთნიკური ქართველების რაოდენობა, რომლებიც ბინადრობის ნებართვებს მიღებას შეძლებენ, შეზღუდული იქნება.

სეპარატისტული რეგიონის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ნებართვების მიღების მსურველებს შესაბამისი დოკუმენტების წარდგენა მოუწევთ, რომლითაც დადასტურდება, რომ 1999 წლიდან სულ ცოტა 10 წლის განმავლობაში ისინი აფხაზეთში ცხოვრობდნენ.

მოქალაქეობის შესახებ სეპარატისტული რეგიონის კანონის თანახმად, აფხაზეთის მოქალაქის პასპორტის მფლობელი შესაძლოა იყოს მხოლოდ ეთნიკური აფხაზი, ასევე პირი, რომელიც არ არის ეთნიკური აფხაზი, მაგრამ აფხაზეთში 1994 წლიდან 1999 წლამდე ცხოვრობდა და არ არის სხვა რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა რუსეთის ფედერაციისა.¹⁵

სეპარატისტული რეგიონის შინაგან საქმეთა მინისტრმა ასლან კობახიამ, რომელიც პასპორტიზაციის პროცესს კურირებს, 21 აპრილს გამართულ საჯარო შეხვედრაზე ადგილობრივი მოსახლეობა გააფრთხილა, რომ ის ეთნიკური ქართველები, რომლებიც აფხაზეთის მოქალაქეობის აღებას შეეცდებიან (ბინადრობის ნებართვის ნაცვლად) და იმავდროულად, საქართველოს მოქალაქეობას შეინარჩუნებენ „სამუდამოდ დაკარგავენ აფხაზეთს“.

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლებამ რეგიონის ეთნიკური ქართველი მოსახლეობისთვის აფხაზური პასპორტების გაცემა 2013 წელს შეაჩერა იმის მიზეზით, რომ ამ პროცესს, როგორც არაერთი ადგილობრივი ე.წ. თანამდებობის პირი აცხადებდა, შესაძლოა „აფხაზეთის გაქართველება“ მოჰყოლოდა. 2014 წელს, 24 აგვისტოს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, ამომრჩეველთა სიებიდან გალის რაიონის თითქმის 23000 მკვიდრი ამოიღეს.

შედეგად, 2017 წლის 12 მარტს სეპარატისტულ რეგიონში გამართული საპარლამენტო არჩევნებისთვის გალის რაიონში მხოლოდ 603 ამომრჩეველი დარეგისტრირდა. აფხაზეთის ხელისუფლებამ გალში ადგილობრივი საკრებულოს არჩევნებიც ვერ ჩაატარა, რომელიც დანარჩენ აფხაზეთში 2016 წელს გაიმართა. სეპარატისტული რეგიონის წინამოწვევის პარლამენტს სპეციალური გადაწყვეტილების მიღება მოუწია, რომლითაც გალის რაიონის 2011 წლის თებერვალში არჩეულ საკრებულოს უფლებამოსილების ვადა გაუხანგრძლივდა.

სიცოცხლის უფლება

სიცოცხლის უფლება — ადამიანის უფლებების კონცეფციაში ერთ-ერთი ფუნდამენტური და აბსოლუტური უფლება. ის გულისხმობს, რომ ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის თანდაყოლილი უფლება. ეს უფლება კანონითაა დაცული. არ შეიძლება ადამიანის სიცოცხლის თვითნებური აღკვეთა. სიცოცხლის უფლება იწყება ადამიანის დაბადების მომენტიდან და მთავრდება გარდაცვალების (ტვინის უჯრედების ფუნქციონირების შეუქცევადად შეწყვეტა) მომენტში. სიცოცხლის უფლება ერთი მხრივ სახელმწიფოს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას უკრძალავს (ნეგატიური ვალდებულება), მეორე მხრივ მისი სიცოცხლის აქტიურად დაცვას ავალდებულებს (პოზიტიური ვალდებულება).

სიცოცხლის უფლება განეკუთვნება ბუნებით უფლებათარიგს. ის არ ექვემდებარება დათქმებასა და გადახვევებს. *(მასალა ვიკიპედიიდან — თავისუფალი ენციკლოპედია)*

სიცოცხლის უფლების უხეშ დარღვევად შეფასდა გიგა ოთხოზორიას მკვლელობის აღმამფოთებელი ფაქტი, რომელიც არაერთი უფლებადამცველი ორგანიზაციების ანგარიშებში მოხვდა.

2016 წლის 19 მაისს სოფელ ხურჩა-ნაბაკვის ე. წ. სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან გალის რაიონის სოფელ ბარდების მკვიდრი გ. ოთხოზორია პროდუქტის გადატანას ცდილობდა, რა დროსაც ე. წ. მესაზღვრესთან შელაპარაკება მოუვიდა. შელაპარაკების შედეგად ე. წ. მესაზღვრემ გ. ოთხოზორიას მისამართით რამდენჯერმე გაისროლა. მიყენებული მრავლობითი ჭრილობების შედეგად გ. ოთხოზორია იმ დღესვე გარდაიცვალა. ამასთან, მოგვიანებით გავრცელდა აღნიშნული ფაქტის ამსახველი ვიდეო-ჩანაწერი. ვიდეო მასალაში ჩანს, როგორ გადმოდიან საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ე. წ. მესაზღვრეები და გ. ოთხოზორიას ჯერ ფიზიკურ შეურაცხყოფას, შემდეგ კი ცეცხლსასროლი იარაღით დაზიანებებს აყენებენ.¹⁶

გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) რიგით 45-ე შეხვედრა გაიმართა.¹⁷

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეხვედრის მონაწილეებთან ოკუპირებულ რეგიონებსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ბოლო პერიოდში დაფიქსირებული მნიშვნელოვანი ინციდენტები განიხილეს. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება კვლავ დაეთმო 2016 წლის 19 მაისს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში საქართველოს მოქალაქის გიგა ოთხოზორიას მკვლელობის საკითხს. ცენტრალური ხელისუფლების პრინციპული პოზიციაა, რომ აუცილებელია მკვლელობაში მსჯავრდებული რაშიდ კანჯი-ოღლის დაკავება.

შეხვედრაზე ასევე განხილულ იქნა ზუგდიდის რაიონის სოფელ რიყის მცხოვრებლების აჩივო და პაატა როგავების უკანონო დაკავების ფაქტი.

ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან, მონაწილეებთან მკაფიოდ იქნა დაფიქსირებული, რომ აღნიშნული პირების დაკავება და მათთვის ე.წ. წინასწარი ორთვიანი “პატიმრობის” შეფარდება უკანონოა და აუცილებელია მათი გათავისუფლება.

შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს აფხაზეთის ე.წ. ციხეში უკანონოდ მყოფი საქართველოს მოქალაქის გიორგი ლუკავას საკითხზე. შეხვედრაზე საუბარი შეეხო საოკუპაციო ხაზთან არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უსაფრთხოდ დამუშავების საკითხს.

¹ „აფხაზეთის რესპუბლიკის კანონი კაცებისა და ქალებისთვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის შესახებ“, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://goo.gl/aDzYbI>

² საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში

ქალთა და ბავშვთა უფლებები კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში 2014-2016 წლების მიმოხილვა

³ აფხაზეთის ა/რ იუსტიციის დეპარტამენტი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე, 20.03.2017 <http://www.ekhokavkaza.com/a/28380613.html>

⁴ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ქალთა და ბავშვთა უფლებები კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში 2014-2016 წლების მიმოხილვა

⁵ <http://smr.gov.ge/Uploads/ecd28e.pdf> (06.01.2017)

⁶ აფხაზეთის ა/რ იუსტიციის დეპარტამენტი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: 20.10.2016 <http://www.ekhokavkaza.com/a/28076804.html>

⁷ საქართველოს სახალხო დამცველისათვის მიწოდებული ინფორმაცია, 2016 წ.

⁸ საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელთა მიერ ჩატარებული ინტერვიუები, 2016.

⁹ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ქალთა და ბავშვთა უფლებები კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში 2014-2016 წლების მიმოხილვა.

¹⁰ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო, გალის რესურსცენტრი.

¹¹ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ქალთა და ბავშვთა უფლებები კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში 2014-2016 წლების მიმოხილვა.

¹² საქართველოს სახალხო დამცველისათვის მიწოდებული ინფორმაცია, 2016 წ.

¹³ აფხაზეთის ა/რ იუსტიციის დეპარტამენტი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე aiaaira.com/news/politics/zhiteli_galskogo_rayona_vyshli_protestovat/25.01.2017

¹⁴ აფხაზეთის ა/რ მთავრობის აპარატის პოლიტიკური ანალიზისა და კვლევების სამმართველო ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და სხვა სამართალდარღვევათა შესახებ (დეკემბერი, 2016 წ. - მარტი, 2017 წ.)

¹⁵ აფხაზეთის ა/რ იუსტიციის დეპარტამენტი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <http://mvdra.org/>

¹⁶ აფხაზეთის ა/რ იუსტიციის დეპარტამენტი ოფიციალური ვებ-გვერდი ანგარიში (2016 წლის 20 მაისიდან 2016 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების (მათ შორის ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების) შესახებ).

¹⁷ აფხაზეთის ა/რ იუსტიციის დეპარტამენტი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <http://www.timer.ge/galshi-incidentebis-preveniisa-da-mathze-reagirebis-meqanizmis-iprm-shekhvedra-gaimartha-2/>

02.05.2017